ხაშურის მოამბე

№11 17 აგვისტო, ორშაბათი, 2015 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია. სესიას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე. სესიაზე საკრებულოს წევრებმა, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანეს რამდენიმე განკარგულებაში, რომლებიც ადრე იყო მიღებული. ამავე სხდომაზე თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით, ფართის გადაცემის თაობაზე. ეს კი აუცილებელი გახდა მას შემდეგ, როდესაც გადაწყდა ფლევის საჯარო სკოლის მშენებლობა. მშენებლობის დასრულებამდე კი ადგილობრივი მოსწავლეები დროებით გადავლენ ყოფილი კოლმეურნეობის ოფისის შენობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სესია გაიმართება ორი კვირის შემდეგ.

ომის გმირების საფლავები გვირგვინებით შეამკეს

8 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების საფლავები გვირგვინებით შეამკო.



ხაშურის მუნიციპალიტეტიდან აგვისტოს კონფლიქტს სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეწირა. ზაზა მახარაშვილი ოსიაურშია დაკრძალული, დავით ბლიაძე ქვიშხეთში განისვენებს, გიორგი წიქარიშვილმა კი თბილისის საძმო სასაფლაოზე ჰპოვა მარადიული სამყოფელი.

საქართველოსთვის დაღუპული გმირებით თაობები იამაყებენ. მათი ხსოვნა მარადიულია, მათი თავგანწირვა – სამაგალითო!

გამოვლინდნენ დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდოს - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა (თავმჯდომარე პროფესორი ვაჟა შუბითიძე) პრემიის ლაურეატები გამოავლინა. 10 ივლისს გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით კომისიაში ორი წარდგინება შევიდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების სამეცნიერო საბჭოსაგან. კომისიის წევრებმა, პროფესორებმა თამარ ბარბაქაძემ და ზურაბ ცუცქირიძემ წარმოადგინეს რეცენზიები ნომინანტების სამეცნიერო და საზოგადოებრივი დამსახურების შესახებ. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს კანდიდატურების ღვაწლზე, კვლევებზე და ერთხმად დაუჭირეს მხარი ორივე კანდიდატურას.

ნომინაციაში „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისათვის“ პრემია მიენიჭა ცნობილ პროფესორსა და საზოგადო მოღვაწეს, ავტორს წიგნისა „დიმიტრი ყიფიანი - ახალი დიმიტრი თავდადებული“ გურამ ყორანაშვილს. ხოლო ნომინაციაში „განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე“ პრემია გადაეცა ჩვენს თანამემამულეს, ისტორიკოს თამაზ ლაცაბიძეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია პირველი ეროვნული პრემიაა, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივითა და გამგეობის მხარდაჭერით ორ წელიწადში ერთხელ გადაეცემათ ზემოაღნიშნულ ნომინაციებში გამარჯვებულებს ქვეყნის მასშტაბით. პრემიების გადაცემა შემოდგომაზე, „ხაშური-ოქროს შემოდგომის“ დღესასწაულზე მოხდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელით, ვულოცავთ გამარჯვებულებს ესოდენ მაღალ ჯილდოს და ვუსურვებთ ნაყოფიერ სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას!

სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუში

პოლიტიკოსები რომ ხალხის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდნენ, ამაზე ხშირად ლაპარაკობენ, თუმცა, პირადი მაგალითის მიცემა იშვიათად ხდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირებმა, საჯარო მოხელეებმა შეძლეს პირად ინტერესებზე ამაღლება და უარი თქვეს შვიდიდან 5 პრემიის აღებაზე, რამაც მთლიანობაში სოლიდური თანხა 360 ათასი ლარი შეადგინა.

ამ თანხით დაიგეგმა ერთ-ერთი დიდი, რუსიას ქუჩის მოასფალტება სურამში, რაც სექტემბერში განხორციელდება კიდეც.

ასევე, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების შემცირებით, ასფალტი დაიგება ხაშურში, სვანიძის ქუჩაზე, რაც თითქმის 250 ათას ლარზე მეტი დაჯდება.

მთლიანობაში, საჯარო მოხელეებმა 800 ათას ლარზე მეტი ეკონომია გაწიეს და ეს ყველაფერი მოსახლეობას მოხმარდება.

2015 წლის 12 აგვისტოს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კიდევ ერთ დადგენილებას, რომლითაც საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხები 700-დან 397 ლარამდე შემცირდა.

პრობაციის სამსახურის მორიგი ინიციატივა

პრობაციისა და აღსრულების ხაშურის საგენტო აქტიურადაა ჩართული პრობაციონერთა დასაქმებასა და საზოგადოებაში მათ, ინტეგრაციის საქმეში. დასაქმების რამოდენიმე პროგრამის პარალელურად, პრობაციონერები მესამე თვეა ტაშისკრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარზე მიმდინარე გალავნის მშენებლობაში იღებენ მონაწილეობას. ისინი მამა ანდრიას ქვების შეგროვებასა და სხვა ტიპის სამუშაოების შესრულებაში ეხმარებიან. როგორც ზემოთ აღნიშნულ სამსახურში გვითხრეს, ამ სამი თვის მანძილზე 20-მა პრობაციონერმა მიიღო ამ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობა-პრობაციის სამსახური პრობაციონერთა დასაქმების მიზნით, კვლავაც გააგრძელებს დამსაქმებელი ორგანიზაციების მოძიებას.

ხაშურს საკუთარი ლიტერატურული გაზეთი ექნება

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სესიაზე, საკრებულოს წევრებმა ცვლილება შეიტანეს 2015 წლის 4 მაისის №57 განკარგულებაში (ააიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების პროგრამის დამტკიცების შესახებ“) ამ ცვლილების შედეგად, დღის სინათლეს იხილავს ახალი გაზეთი, რომელიც მთლიანად ლიტერატურული მიმართულების იქნება. მართლაც, მისასალმებელი ფაქტია! შეიძლება ითქვას, რომ თაობების ოცნება ახდა. ჩვენი რაიონი ყოველთვის გამოირჩეოდა შემოქმედთა სიმრავლით, მაგრამ, სამწუხაროდ, ლიტერატურული გამოცემის არარსებობის გამო, მუდამ პრობლემა იყო მათი შემოქმედების ფართო წრისთვის გაცნობა. გაზეთს ცნობილი პოეტი ეკა ბაქრაძე ურედაქტორებს და ესეც ერთი-ორად ზრდის ინტერესს ახალი გამოცემისადმი. გაზეთის გამომცემელი ააიპ „ხაშურის მოამბე“ იქნება და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ გაზეთის ყოველი ხელმომწერი ახალ გამოცემას, ფაქტობრივად უფასოდ მიიღებს.

დარწმუნებულები ვართ, გამოცემა ბევრი ახალგაზრდა შემოქმედის გზამკვლევად იქცევა და ხაშურის ლიტერატურულ ცხოვრებას ახალ სიცოცხლეს შთაბერავს.

მაშ, ასე! უახლოეს მომავალში ელოდეთ „ლიტერატურული ხაშურის“ პირველ ნომერს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2015 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 9 285.2 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის სახით ირიცხებოდა 2 561,7 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან ნაშთის სახით ირიცხებოდა - 1 235,0 ათასი ლარი.

2015 წლის ექვსი თვის განმავლობაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრის №1, 2 თებერვლის, № 7, 2 მარტის №9, 6 აპრილის №13, 4 მაისის №15 და 25 მაისის №20 დადგენილებების საფუძველზე, 2015 წლის 1 ივლისისათვის, დაზუსტებული მონაცემებით ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 15 720,5 ათასი ლარის ოდენობით, რაც 6 435,3 ათასი ლარით აღემატება დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს. 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 5061,7 ათასი ლარი შეადგინა,რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 100,1%-ს შეადგენს, ხოლო შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადების გეგმა შესრულდა - 84,8%-ით, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 120,9%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი- 88.0%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 53,6%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 6,7%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა - 117,8%-ით შესრულდა, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი - 124,4%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 153,9%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 174,0%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 87,9%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 102,4%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 63,4%-ით, ხოლო შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან შესრულდა – 125,5%-ით.

2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 65,5%-ს (3313,0 ათასი ლარს), „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გათვალისწინებულია 6 246,7 ათასი ლარი,ხოლო მიღებულია 3 123,6 ათასი ლარი,მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 229,0 ათასი ლარი, მიღებულია – 114,6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 2 944.7 ათასი ლარი, მიღებულია 55.6 ათასი ლარი, ათვისებულია - 33.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №506 განკარგულების საფუძველზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის გამოყოფილია 855.2 ათასი ლარი, მიღებულია 19.2 ათასი ლა\

2015 წლის ექვსი თვის მონაცემებით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 4 709,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 86,5%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ექვსი თვის განმავლობაში, გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 93,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 19,7%), თავდაცვა - 90,8% (ხვადრითი წილი მთლიან ხარჯებში 1.0%),საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 99.9% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 4.4%), ეკონომიკური საქმიანობა - 64,6% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 19,6%),გარემოს დაცვა - 97,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 8,2%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 85,6% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 9,7%),ჯანმრთელობის დაცვა - 97,6% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,9%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 94,5% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12,3%), განათლება - 96,6% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,5%), სოციალური დაცვა - 96,9% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 12,6%).

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა, ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში, შემდეგნაირად გადანაწილდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 99,5%-ით (დაგეგმილთან შედარებით 3,5 ათასი ლარით ნაკლები), სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები - 71,8%-ით (დაგეგმილთან შედარებით 173,2 ათასი ლარით ნაკლები), სუბსიდიები - 96,0%-ით (დაგეგმილთან შედარებით 77,6 ათასი ლარით ნაკლები), გრანტები - 99,3%-ით (დაგეგმილთან შედარებით 1,5 ათასი ლარით ნაკლები), სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 96,3%-ით (დაგეგმილთან შედარებით 16,3 ათასი ლარით ნაკლები), სხვა ხარჯები - 91,1%-ით (დაგეგმილთან შედარებით 19,1 ათასი ლარით ნაკლები), არაფინანსური აქტივების ზრდა - 65,0%-ით (დაგეგმილთან შედარებით 440,8 ათასი ლარით ნაკლები), ვალდებულების კლება - 77,8%-ით (დაგეგმილთან შედარებით 0,6 ათასი ლარით ნაკლები).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებით, დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტის საფუძველზე. ექვსი თვის განმავლობაში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 2,9 ათასი ლარი, აღნიშნული თანხით დახმარება გაეწია ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში მცხოვრებ, აწ გარდაცვლილი თამაზ სუხიაშვილს, ასევე დაფინანსდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში მცხოვრები ლიკა გაგნიძის საზღვარგარეთ მკურნალობისათვის დედა-შვილ ეკა და ლიკა გაგნიძეებისა და ხაშურში სულიაშვილის ქუჩა №19-ში მცხოვრები ირაკლი გელაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობისათვის დედა-შვილის, ირაკლი გელაშვილისა და ნათია ხარამიშვილის საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯები.

ამრიგად, ექვსი თვის მონაცემებით ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული პროგრამის დაფინანსების საშუალება და, შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

ხვით მიდის ქარავანი?

ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს პროგრამაც კი იძლევა იმის წარმოდგენის შესაძლებლობას, თუ რა უარყოფითი შედეგები მოაქვს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ურთიერთშეუთანხმებლობას, რაც საფუძვლად ედება შინააშლილობას, სახელმწიფო გადატრიალებებსა თუ მრავალ სხვაგვარ ინტრიგებს.

საქართველოს ისტორია სავსეა ისეთი ფაქტებით, როცა ქვეყნის ხელმძღვანელთა ზედმეტად ამპარტავნულმა ქმედებებმა ძმათაშორის სისხლისღვრამდე მიიყვანა საქმე და საშიშროება შეუქმნა სახელმწიფოებრიობის სიძლიერეს და მის არსებობას.

უფერულია მოწოდებანი ურთიერთშეყვარების შესახებ. განა სიყვარული მოწოდებით მოდის? რამდენიც გინდა მიჩიჩინო, ვერ შევიყვარებ ადამიანს, რომელიც ცხვრის ტყავში გახვეული მგელია, დღე ღმერთს ემსახურება და ღამე –ეშმაკს. როგორ შევიყვარო ადამიანი, რომელიც პირადი ინტერესების მისაღწევად ყველაფერს კადრულობს, მათ შორის, სახელმწიფოს ღალატსაც კი.

ვიღაცის მოწოდებით, ვიღაცის ვითომც შეყვარება თვალთმაქცობაა. „შევიყვაროთ ერთმანეთი" კი არ უნდა ვიძახოთ, არამედ - შეხმატკბილებულად ვაკეთოთ საქმე, ვაპატიოთ, დავინდოთ და დავეხმაროთ ერთმანეთსო.

ვინმეს ჰგონია, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ფეხებზე დაიკიდა მშობლიური ქვეყანა და უარი თქვა მის მოქალაქეობაზე, ყოფილ თანაგუნდელებს უყვართ და ამიტომ ჩასდევენ პოლიტიკურ სამარეში? არა, ბატონებო, ასეთები სააკაშვილის ხელდასმით ნაცოდვილარის შენარჩუნებისათვის იბრძვიან, თანაც ისე უსირცხვილოდ, რომ თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხენ ნაციონალური მოძრაობის იმ კეთილსინდისიერ მოქალაქეებს, რომლებიც პირნათლად იხდიდნენ მოქალაქეობრივ ვალს ქვეყნის წინაშე.

როგორც ყველა კომუნისტის დადანაშაულებაა არამართლზომიერი რეჟიმისადმი სამსახურის გამო, ასევე არასწორია ნაციონალური მოძრაობის ყველა წევრის დადანაშაულება იმ საზიზღრობისათვის,რაც ხდებოდა მათი მმართველობის პერიოდში. რიგითი კომუნისტები და ნაციონალები ის ჭანჭიკები არიან, რომლებსაც ბალი „ათი შაურიას" გარდა,არავინ არაფერს ეკითხებოდა. მათი „პრივილეგია" ფრონტის წინა ხაზზე ყოფნა და ტყვიისთვის გულისშეშვერა იყო. თორემ ქვეყანაში არსებული მატერიალური დოვლათის განაწილებამდე ვინ მიუშვებდა?

მართალია ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი, შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის მინისტრები პასუხისგებაში არიან მიცემულნი, მაგრამ მგონია, რომ კოჰაბიტაცია გრძელდება. ჯერ კიდევ მრავალი ყოფილი მაღალჩინოსანი სინდისის ქენჯნის გარეშე დაიჯგიმება ჩვენს შორის და საზოგადოების წინაშე ჩადენილი არაკაცობისათვის ბოდიშის მოხდასაც არ აპირებს.

ვიყენებ კონსტიტუციურ უფლებას და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ არ მომწონს უმაღლეს ხელისუფალთა შორის ურთიერთბუტიაობა. პრეზიდენტი და პრემიერი ყოველსაათობრივ სამსახურებრივ ურთიერთკავშირში უნდა იყვნენ და ყოველწუთიერად ერთობლივად უნდა ძებნიდნენ ქვეყნის უკეთესობისაკენ მიმავალ გზებს.

ვერ გავარკვიე, თუ საით მიდის ქარავანი. ცხვრის ფარას თხა მიუძღვის და ორგანიზებულად მიემართებიან წინ, ხოლო ქარავანს რამდენი წინამძღოლი ჰყავს და რომელი საით ექაჩება, გაუგებარია. ვიცი, რომ ჩემი ხმა დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, როგორც იმ ძაღლისა, რომელიც ყეფს, ქარავანი კი მიდის, მაგრამ ახლო წარსულის გათვალისწინებით მეშინია, არ მოხდეს უმაღლეს ხელმძღვანელთა შორის სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით აზრთა შეუთანხმებლობა. თუ ახლა ცალკეულ პიროვნებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გაუგებრობა სააშკარაოზე გამოდის, რა მოხდება მაშინ, თუ ჯინიანობის გამო ქვეყნის საგარეო კურსის ირგვლივაც ერთმანეთს ვერ გაუგებენ და დაუპირისპირდებიან?

ქარავანი გზასაყარზეა. ერთი გზა მიემართება იმ დახურული კარისაკენ, რომელსაც „ნატო" და „ევროკავშირი", ხოლო მეორე კი ღია კარისკენ, რომელსაც „ევრაზიული კავშირი" აწერია.

გზათა შორის, უფსკრულია. თუ ქარავნის ორი წინამძღოლი ერთად არ აირჩევს სწორად გამიზნულ გზას, ქარავანი გადაიჩეხება.

ღმერთმა ნუ ქნას, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირთა შორის უთანხმოება წარმოიქმნას ქვეყნის ეკონომიკური და საგარეო ურთიერთობის განვითარების მთავარი მიმართულებების ირგვლივ,თორემ შესაძლებელია მწარე ისტორიის გამეორება, რაც კატასტროფამდე მიიყვანს ჩვენს გაძვალტყავებულ სახელმწიფოს.

ქვეყნის დეკორატიულად განვითარებამ წარმოქმნა ათობით პარტია, მოძრაობა, სექტორი და ა.შ. რის გამოც, ძალიან ბევრ მოქალაქეს ვერ გაუგია, სად გადის დემოკრატიისა და დიქტატურის შორის საზღვარი. ერთმანეთში აერიათ თავისუფლებისა და ყველაფრის უფლების საზომები. აზრის თავისუფლად გამოხატვის კონსტიტუციურ უფლებად მიაჩნიათ ენაზე მომდგარი შხამის გადმოფრქვევა და ერთმანეთს სიცრუის, ბოროტების, ცილისწამებისა და შეურაცხყოფის კორიანტელში ახვევენ. ყველაფერს უწოდებენ, რასაც თავმოყვარე ადამიანი არ იკადრებს. „შენობით" მიმართვისთვის ლამის სასამართლოში იჩივლონ, მაშინ

(დასასრული III გვერდზე

საით მიდის ქართველი?

(დასასრული)

როცა რეაგირებას არ აკეთებენ ცილისმწამებლურ საგანგაშო გამონათქვამებზე.

საზოგადოება ორად გაიხლიჩა ევროკავშირისა და ევრაზიული კავშირისაკენ მიმართულმა გზებმა.

ორივე მიმართულებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩვენ პატარა, მცირერიცხოვანი სახელმწიფო ვართ და ჩვენი გულისთვის თავს არავინ აიტკივებს. ძალიანაც გვინდა, ქართული პოლიტიკა გავატაროთ, მაგრამ მაინც სხვა სახელმწიფოთა დაკრულზე ვცეკვავთ და მათი კარნახის გათვალისწინებით ვდებულობთ კანონებს. სპილოების ჭიდილში რომ ჭიანჭველები ისრისებიან, ისე მოგვივა თუ ორი გიგანტური სახელმწიფოს შორის ფართომასშტაბიან ომამდე მივა საქმე.

საქართველოს მოსახლეობამ თავის დროზე დაადასტურა არჩევანი „ნატოსა“ და ევროკავშირისაკენ არებული კურსის შეუცვლელობის შესახებ. დროთა განმავლობაში ყველაფერი და ყველაფრისადმი მიდგომა და შეფასებაც იცვლება. ვინ წარმოიდგენდა, რომ გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ ერეკლე მეორის კრიტიკას დაიწყებდა მისი შთამომავლობა ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოების გამო? ერთმორწმუნოება ტვინარეულ ხალხს დღეს აღარაფრად მიაჩნია, თორემ წინა საუკუნეებში სარწმუნოება იყო ის ძირითადი ღერძი, რომლის ირგვლივაც შემოკრებილი იყო ყოველგვარი სიწმინდისა და თავგანწირვის მამოძრავებელი სულიერი და ხორციელი ძალები. ამ რწმენამ შემოგვინახა ყველაფერი, რითაც დღეს ვამაყობთ.

მართალია, უკრაინა არც ევროკავშირის და არც ნატოს წევრი არ არის, მაგრამ გაოგნებული ვარ, იმ უმოქმედობის გამო, რასაც დასავლეთი იჩენს ამ ქვეყნის განადგურების მიმართ.

მწარედ მეღიმება, როცა რუსეთს ისეთ სანქციებს უწესებენ, რომ მისი მოქალაქეების ნაწილს ეკრძალებათ ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლა. ამით შეაჩერებენ რუსეთის აღვირახსნილობას? რუსეთი უდიდესი ტერიტორიის და ადამიანთა რესურსების ქვეყანაა. მას ვერც ეკონომიკური სანქციებით შეაჩერებ, მას გარესამყაროდან სრულიად იზოლირებულადაც კი შეუძლია იარსებოს. მას გააჩნია ბუნებრივი წიაღისეულის უდიდესი მარაგები. მან მძარცველური პოლიტიკით საკმაოდ გააძლიერა თავისი სამხედრო პოტენციალი, ამიტომაც იღრინება და მსოფლიოს ემუქრება იმ ღილაკზე ხელის დაჭერით, რომელსაც შეუძლია კაცობრიობას თავს დაატეხოს წარმოუდგენელი უბედურება.

რიგითი მოქალაქის პოზიციიდან მინდა გავიხსენო, ისტორიის ის ფურცლები, რომლებმაც გარკვეული კვალი დააჩნია ჩვენი ქვეყნის განვითარებას.

მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირი ერთი ქვეყანა არ არის და მასზე მთლიანობაში ლაპარაკი მიზანშეწონილიც არ იქნება. თვით ამ კავშირში ხშირად აზრთა შეუთავსებლობაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის იმ სახელმწიფოთა კავშირია, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ენით, სარწმუნოებით, ტრადიციებით და ა.შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კავშირიც დროთა განმავლობაში, დაიშლება ისევე, როგორც დაიშალა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ისტორია ამტკიცებს, რომ სახელმწიფოთა შორის მუდმივი კავშირები არ არსებობს.

მსოფლიოს რუკაზე გეოგრაფიის მასწავლებლის ჯოხის წვერით გავლებულ საზღვრების მიხედვით, ევროპისა და აზიის საზღვარი გადის კავკასიაზე და ვერავინ დაამტკიცებს ჯოხის წვერიდან 100 მეტრით იქეთაა იგი, თუ აქეთ.

არ ვიცი, როდის ვიყავით ევროპული ქვეყნების ოჯახის წევრი, მაგრამ ის კი წამიკითხავს, რომ ჩვენი დიდებული ელჩის, სულხან-საბა-ორბელიანის მიღებისას, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV, თურმე კატას ეფერებოდა. ჩვენ ევროპასთან დაახლოების გზების მაძიებელნი ვიყავით და არა მისი ოჯახის წევრი.

აგრესიულმა ევროპამ, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, მეოთხე საუკუნეში, მსოფლიოს აღუზარდა იმ დროისათვის უძლიერესი და უსასტიკესი მხედართმთავარი ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც დამპყრობლური ომებით შექმნა უძველესი და უდიდესი მსოფლიო მონარქია. არავინ იცის, რამდენი ადამიანი შეიწირა მის მიერ წარმოებულმა ომებმა.

ისტორიისთვის გუშინწინდელი დღეა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი, რომელმაც ასევე დამპყრობლური ომებით დაიმორჩილა ცენტრალური, დასავლეთ ევროპა და სხვა ქვეყნები. ეს ის ნაპოლეონია, რომელმაც ცოცხლად გადარჩენილი მამლუქების დასახოცად ტყვიებიც კი არ გაიმეტა, კედელთან აყენებდა მათ და ფრანგი ჯარისკაცები შუბის განგმირვით უსპობდნენ სიცოცხლეს. ამ მამლუქთა დიდი ნაწილი ხომ ბედკრული საქართველოს შვილები და მათი შთამომავლები იყვნენ.

გუშინდელი დღეა ევროპელი ჰიტლერიც, რომელმაც ჯოჯოხეთად აქცია ჩვენი მშობლების თაობის სიცოცხლე და ჩვენი ბაშვობა.

მე ისტორიკოსი არ ვარ და ჩემი მწირი განათლებით ვერ ვიხსენებ ფაქტებს, რომ ევროპის რომელიმე ქვეყანას განსაცდელისგან ეხსნას ჩემი სამშობლო. უმადურობა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ზოგიერთი ქვეყანა აღშფოთებასა და შეშფოთებას გამოთქვამდა მტრული ქვეყნების მიერ საქართველოს გაპარტახების გამო, მაგრამ ამით არც ოსმალეთს, არც სპარსეთს და არც რუსეთს შიშით თავზარი არ დაცემიათ და არც სირცხვილის ოფლი გამოსვლიათ. 1555 წელს ხომ ირანმა და ოსმალეთმა ამასიის ზავით გაიყვეს საქართველო.

დღევანდელი ევროპაც და ნატოც ასევე იქცევა. ჰორიზონტზე გვიშენებენ მათთან გაწევრიანების იმედის კოშკებს. ჰორიზონტთან მიახლოებამდე კი თავს გვახვევენ ისეთი კანონების მიღებას რომელიც ახლოსაც ვერ მოდის ქართულ ტრადიციებთან.

მე, მიუხედავად ჩემი სოციალური მდგომარეობისა, თავს არ დავიმცირებდი და ქვეყნის ისეთ პრეზიდენტთან, რომელიც ამაყობს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებით, სასაუბროდაც არ დავჯდებოდი, არც შევეცდებოდი იმის დარეგულირებას, თუ ვინ ვის ლოგინში იკოტრიალოს.

ახლა ისეთი ტენდენცია შეინიშნება, რომ ევროპის ქება რუსეთის ძაგებად მიაჩნიათ და პირიქით.

რუსეთი ტერიტორიულად ახლო მეზობელია, ამიტომაც უკვე მესამე საუკუნეა ჩვენი ქვეყნის ბედი, გარკვეულწილად მის ინტერესებშია გადახლართული.

უმადურობა იქნებოდა ხელადებით რუსეთის ლანძღვა-გინება, თითქოს რუსეთთან კავშირმა საქართველოს არავითარი სიკეთე არ მოუტანა, ასევე უმეცრება იქნებოდა რუსეთთან კავშირის მხოლოდ დადებითად შეფასება.

ცოდვა-მადლის სასწორი იმიტომ არსებობს, რომ მასზე დადებული ტვირთის წონადობა გვიჩვენოს.

მე არ ვარ ეკონომისტი, ან ფინანსისტი, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოს გაუჭირდებოდა ენგურჰესის, მეტალურგიული, ჩარხთმშენებელი, საავიაციო და სხვა მსხვილი ობიექტების აშენება. ძალიან გაგვიჭირდებოდა მეცნიერებისა და კულტურის ისეთ დონემდე მიღწევა, რომლითაც ახლო წარსულში საქართველო გამოირჩეოდა.

როგორც ცნობილია, XV საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოს სამთავროდ.

დანაწევრებული და ერთიან ხელმძღვანელობას მოკლებული შეხვდა საქართველო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს, რომელიც დაიდო ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის. რუსეთს რომ საქართველოს ბედი დიდად არ აინტერესებდა, ეს დადასტურდა 1795 წლის კრწანისის ბრძოლის დროს, როცა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, ჩრდილო კავკასიაში მყოფი მისი ბატალიონი დისლოკაციის ადგილიდანაც კი არ დასძრა. რუსეთს კარგად ესმოდა, რომ დანაწევრებული და დასუსტებული საქართველო სამომავლოდ უფრო ადვილი დასამორჩილებელი იქნებოდა.

რუსეთს თანდათან უღვივდებოდა ინტერესი კავკასიისადმი. ეს ინტერესი დაკავშირებული იყო თურქეთსა და ირანთან დამოკიდებულებასთან.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1828 წელს რუსეთის ჯარებმა თურქეთისგან გაათავისუფლა ყარსი, ფოთი, ახალქალაქი და ახალციხე, ხოლო 1878 წელს აიღეს ბათუმი. რამდენად შესაძლებელი იყო ამის მიღწევა საქართველოსთვის?

ახლა შევეხოთ იმ მტკივნეულ საკითხებს თუ როგორი თანმიმდევრობით ცდილობდა რუსეთი საქართველოს მოქცევას თავის ფარგლებში. აი, მოკლე ისტორია:

–1801 წლის 12 აპრილს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა.

–1810 წელს რუსეთმა დაიპყრო იმერეთი.

–1811 წელს შეიქმნა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

–1857 წელს გაუქმდა სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროები.

–1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო.

ახლა შევეხოთ რუსეთის ცბიერების და ვერაგობის გამოვლინებულ ფაქტებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ეტაპებზე.

–1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო 9 თვის შემდეგ, 1921 წლის 25 თებერვალს, თბილისში შემოვიდნენ ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარები. დაამხეს დამოუკიდებელი სახელმწიფო და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

–რუსეთი ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ცდილობდა დაეყოლიებინა დამოუკიდებელი საქართველო დსთ-ში შესვლაზე. ამას რომ ვერ მიაღწია, ათასგვარი პროვოკაციების მოწყობის შედეგად გამსახურდია იძულებული გახდა, თვითონ ეთხოვა ამ თანამეგობრობაში შესვლა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო – „უკვე გვიანია“-ო.

შედეგების შესახებ საუბარს არ გავაგრძელებ.

–აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების დროს ე. შევარდნაძემაც მიმართა რუსეთს დსთ-ში შესვლის შესახებ. ამით თითქოს შესაძლებელი იქნებოდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება, მაგრამ მანაც პასუხად „უკვე გვიანია“-ო მიიღო.

ახლა გავიხსენოთ, თუ რა ტრაგედიებს გადაგვყარა რუსეთმა თავისი ამპარტავნული ამბიციურობით.

–1905 წლის 22 ოქტომბერს, თბილისში დატრიალებულ უბედურებას შეეწირა 40 (ორმოცი) ადამიანი. ეს ტრაგედია გამოიწვია იმან, რომ სკოლის მოსწავლეები ფეხზე არ აღუდგნენ და ქუდები არ მოუხადეს რუს ჯარისკაცებს, რომლებიც დახეტიალობდნენ ახლანდელი მთავრობის სახლის ტერიტორიაზე.

–1956 წლის 9 მარტს, თბილისში დახვრიტეს მშვიდობიანი დემონსტრანტები. ამ ტრაგედიას 83 ადამიანი შეეწირა. (თუმცა, სიზუსტის პრეტენზია არ გამაჩნია). დემონსტრაციაზე დაჭრილ და შემდგომში გარდაცვლილებს ოჯახის წევრები, მიზეზის გაუმჟღავნებლად, რეჟიმის შიშით უხმაუროდ ასაფლავებდნენ.

–1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, საბჭოთა ჯარებმა დაარბიეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი, როდესაც დაიღუპა 21 ადამიანი, ხოლო მრავალი ათას მოწამლულთაგან შემდგომში ამ მიზეზით რამდენი გარდაიცვალა, ჩემთვის უცნობია.

–2008 წლის 7 აგვისტო კი გვირგვინია რუსეთის ჯალათური მოქმედებისა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, როცა მისმა ფედერაციის რეგულარულმა ჯარებმა დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ სამარი ოპერაციები, მოახდინეს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის – აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

ყოველივე აღნიშნულის და მრავალი აღუნიშნავის გათვალისწინებით, განა კიდევ გებადებათ კითხვა, შეიძლება თუ არა ენდო რუსეთს?

ამასთან დაკავშირებით, ერთი ანეგდოტი მაგონდება და რედაქციას ვთხოვ წერილიდან არ ამოიღოს იგი. აი, მოკლედ ეს ანეგდოტიც:

სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მსჯელობდნენ, თუ ვის შეიძლება ენდო და ასახელებდნენ ძმას, დედას, მამას, დას, ცოლს, მეგობარს, შვილს და ა.შ. როცა რუსის რიგი დადგა, მან განაცხადა: მე არავის, ჩემს თავსა და საკუთარ უკანალსაც არ ვენდობი, ერთჯერ მუცლის გვრემის გამო გაზის გაშვება მინდოდა და ჩავისვარეო.

ახლა მიპასუხეთ, შეიძლება თუ არა ენდო ადამიანს, რომელიც საკუთარ თავსაც კი არ ენდობა?

საით მიდის ქარავანი, იმ კარისკენ, რომელიც დაკეტილია და არ იცის, როდის ან ოდესმე გაუღებენ თუ არა, თუ იმ კარისაკენ, საიდანაც ერთხელ უკვე ძლივს გამოძვრა?

ამის პასუხი არც მე მაქვს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ახლა ქვეყნის წინამძღოლთა ურთიერთკინკლაობის კი არა, ერთად დაჯდომის, სიტუაციის გონივრულად განსჯის და ბრძნული გადაწყვეტილებების მიღების დროა. ეს მსჯელობა უნდა მიმდინარეობდეს სამუშაო და მშვიდ ვითარებაში. კანონპროექტების გადასროლა-გადმოსროლით ისეთ მდგომარეობაზე არ უნდა მიიყვანონ არსებული სოციალური ფონით უკმაყოფილო მოსახლეობა, რომ ტაშის გრიალით მოყვანილი ხელისუფალნი წიხლის კვრით გააგდოს.

ქართველი ხალხი ბრძენია და უკეთესია ბრძენ ადამიანებს მოვუსმინოთ, ვიდრე ისეთ ქარაფშუტებს, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნის ინტერესები თანამდებობრივ სკამებს შესწირონ, დატოვონ სამშობლო და უარი თქვან მის მოქალაქეობაზე.

ფრთხილად! ქარავანი არ „ააბუზაროთ“, თორემ მისი დამორჩილება ძალიან გაგიძნელდებათ.

რევაზ გრიგალაშვილი

მე ჯარისკაცებს ვუზრდი სამშობლოს

ინსტიტუტის მეგობრები, დიდი ხნის უნახავი ძმაკაცები ერთმანეთს შეხვდნენ. მოიკითხეს ერთმანეთი.

–როგორ ხარ, ძმაო,– ეკითხება ერთი მეორეს.

–არა მიშავს, ღვთის წყალობით, ორ ბოკვერს (ბიჭებს) ვუზრდი სამშობლოს, აგერ-აგერ საჯარო ასაკის გახდებიან. (მათ შორის სხვაობა სულ ერთი წელია) და გახარებული ვარ, მეამაყება, რომ ჩემი შვილები ქართველი ჯარისკაცის ფორმას ჩაიცვამენ და სამშობლოს სადარაჯოზე დადგებიან. მეტი საამაყო რა უნდა იყოს, როცა სამშობლოს დამცველს, პატრიოტს უზრდი. ისინი ხომ მომავალი საქართველოს ბატონ-პატრონები იქნებიან. ჰოდა, ჩვენს სახლში ახლა ზეიმია, სულ რამდენიმე თვეში ჩემს პაატას ჯარში გაიწვევენ, ჯარისკაცის ფორმას ჩაიცვამს და თავის წილ სამშობლოს დაიცავს, სამშობლოს სადარაჯოზე დადგება.

–აგაშენა ღმერთმა, მართლაც დიდი ბედნიერებაა მამულს მკლავმაგარი და მუხლმაგარი დამცველები აღუზარდო! გადაეცი შენს მეუღლეს ჩემი მოკრძალებული მოკითხვა და გაუზიარე ჩემი სიხარული ამასთან დაკავშირებით.

–ჰო, მართლა, ჩემო ძამია, თუ გაეცანი ჩვენი თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით? მისი აზრია, რომ საქართველოს ჰყავდეს დაქირავებული ჯარი. უნდა გაუქმდეს საყოველთაო გაწვევის ვალდებულებაო. ასე, რომ შეიძლება შენს მეორე ვაჟს არც მოუწიოს ჯარში წასვლამ. თუმცა, თუ სურვილი ექნება და ხელშეკრულების სათანადო პირობებს დაეთანხმება, შეუძლია სამშობლოს დაქირავებული ჯარისკაცი გახდეს.

–არა, ძმაო, ჩემი შვილი სამშობლოს დაცვის საქმეში ფულს არ აიღებს, ასეთი შვილი არ გამიზრდია. ფული რად უნდა, უკვე მომავალ ჯარისკაცობაზე ფიქრობს და ოცნებობს. ეამაყება, რომ ეს დროც დადგება. ჩვენ საბჭოთა ჯარში ვმსახურობდი როსტოვში დავიწყე სამსახური და კრასნოიარსკში დავამთავრე. მთელი ქვეყანა შემოვიარე, ჯარი მეორე ინსტიტუტის ტოლფასი გამოდგა. იქ ბევრი რამ ვისწავლე და შევითვისე, გამოვიკაჟე, თუმც იყო რიგი სიძნელეები და პრობლემები. ახლა რაა? რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნები, სახლში თუ სამხედრო სამსახურში. ჩვენი ქვეყანა ისე პატარაა, რომ ვერ იგრძნობ ჯარში წასვლას. ჰოდა, ასეთ პირობებში, რა საჭიროა დაქირავებული ჯარი, როცა სამშობლოს, ჩვენი შვილების სახით, დამცველები არ აკლია?!

საუბარი ჩაიწერა **რ. მარგველაშვილმა**

ჩვენს სამშობლოს ჩვენ უნდა მივხედოთ

მტერმა, გარეულმა თუ შინაურმა, რაც ძალით, თოფითა და ხელკეტით ვერ წაგვართვა, ქვეყნის ყოფილმა მმართველებმა ხონჩით მიართვეს რუსეთს კოდორი, სამაჩაბლო, დენი და წყალი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ვიცით და არ ვიცით, რაც ჩვენი იყო სხვას გადავუფორმეთ და ახლა ეს სხვა ცდილობს მეტი წაგვართვას და წაიღოს. ამის დასტურია, ე.წ. საზღვრების მიწევ-მოწევის მცდელობა, სამხრეთ-ოსეთ-რუსეთთან, სომხეთთან და ხვალ რა იქნება და ვინ წამოგვედავება ჩვენს მიწა-წყალს ღმერთმა უწყის. ჩვენი სისუსტით თუ უნიათობით გათამამებული მადაადრული მეზობლები გლახად დაგვტრიალებენ თავს. რაც წაგვართვეს და წაიღეს, არ ჯერდებიან, უფრო დიდსა და მნიშვნელოვანისკენ უჭირავთ თვალი, რაც ყველაზე ძვირფასი გვაქვს (ენა, მამული, სარწმუნოება), მათ შებღალვასა და დამცირებას ცდილობენ, რათა მერე თავიანთ სათამაშო თოჯინებად გვაქციონ. რა ვქნათ? უნდა გავერთიანდეთ, დავირაზმოთ იმ ძმებისა არ იყოს, ისრებს ცალ-ცალკე იოლად რომ ამტვრევდნენ, ხოლო როცა ერთ კონად შეკრეს, ვერაფერს უხერხებდნენ. ძალა ჩვენში და ერის ერთობაშია. სხვის იმედად ყოფნა კარგს არაფერს მოგვიტანს. შორია ნატომდე!

ახლა საუბარი მიდის დაქირავებული ჯარის შექმნაზე(!) რაშია საქმე? დაქირავებული და ფულით დაინტერესებული პიროვნება (თუ ის ქართველი არ არის), როგორ გადაეგება სამშობლოს ქართველზე უკეთ, როგორ დაიცავს საქართველოს? ეს საკითხის ერთ-ერთი მხარეა, მაგრამ ამ დაქირავებულის, ასეთი ჯარის შენახვის თავი გვაქვს(?!) მიეცი ხალხს საკმარისი ხელფასი, პენსია და მერე ნახეთ როგორი დამცველები, ჯარისკაცები ეყოლება სამშობლოს(!)

„ქართველი ომში მგელია,
შრომაში ხარი ნიკორა,
და მაინც ქვეყნის ფორანი,
სულ თავდადმართში მიგორავს“(!!!)

თუმცა, ისევ „დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“ და მაშინ:

„ვიცი, გადაივლის სეტყვა და წვიმა,
დრო მოგვიშუშებს ყველა იარას
და აღივსება ისევ ბადაგით,
ჩემო ქვეყანავ, შენი ფიალა(!)

ან: „მზე ჩავა, მზე კვლავ ამოვა,
უფრო დიდი და ჩახჩახა“ (გ. ლეონიძე)

ღმერთმა ინებოს, ასე ყოფილიყოს ხვალინდელი საქართველო!

რ. სავანელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილში, საჯარო სკოლის მიმდებარედ, მდინარე ბუღუთურაზე ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო 2008 წლის აგვისტოს ომის ამსახველი ფოტოგამოფენა

შპს „ხაშურის სტამბა“ მომხმარებლებს ახალ ოფისში ელის

ჩვენ უკვე ვწერდით, იმ წარმატების შესახებ, რომ 2013-2014 წლის შედეგების და სტატისტიკური რანჟირების მიხედვით, შპს „ხაშურის სტამბა“ საქართველოში მეხუთე, ხოლო შიდა ქართლში პირველი იყო. ეს გამოკვლევა ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირმა გამოაქვეყნა. ზოგადად, მცირე საწარმოები და მათი წარმატებული საქმიანობა რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების უმთავრესი ბერკეტია, ყველასათვისაა ცნობილი. ამიტომაცაა სასიხარულო, რომ ჩვენს ქალაქშიც გვაქვს ასეთი მცირე საწარმოები.

ამ დღეებში შპს „ხაშურის სტამბამ“ ახალ, ევროპული რემონტით განახლებულ ოფისში უმასპინძლა თავის მუდმივ კლიენტებს. უახლესი ტექნიკა, პროფესიონალი მომსახურე პერსონალი, თანამედროვე მენეჯმენტი, სასიამოვნო გარემო კიდევ ერთხელ ქმნის საფუძველს, რომ „ხაშურის სტამბა“ მომავალშიც არ დაკარგავს თავის მაღალ რეიტინგს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა ახალი წიგნებითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით

მაკა დიდებულიძე: ჩვენ ქვეყანას სჭირდება წიგნიერი, განათლებული და ზნეობრივი ადამიანები!

ყველა საუკუნეს თავისი გამოწვევები აქვს. რაღაცეები იძენს და რაღაცეები კარგავს მნიშვნელობას და აქტუალობას. ის,რაც ფასეული იყო რამდენიმე საუკუნის, ან წლების წინ, დღეს მხოლოდ ისტორიად, ან საუბრის თემად დარჩა. წიგნი, რომელზეც დგას კაცობრიობის ინტელექტუალური, გონებრივი განვითარება, არასდროს დაკარგავს მნიშვნელობას. თუმცა, თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებმა, მნიშვნელოვნად შეამცირა წიგნთან ურთიერთობის მოთხოვნილება, ტექნიკის განვითარებამ, კერძოდ, კომპიუტერიზაციამ, ჩაანაცვლა და უფრო ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაციული წვდომა. თუმცა, მკითხველმა იცის, რას ნიშნავს წიგნთან ურთიერთობა.

ხშირად მესმის, რომ წიგნმა დაკარგა მკითხველი, რომ ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად შემცირდა, რომ ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს მკითხველის მოთხოვნილებებს და თანამედროვე ლიტერატურით წიგნადი ფონდის შევსება არ ხდება-ეს იმ ადამიანების წუხილია, რომლებმაც ხშირ შემთხვევაში ბიბლიოთეკის მისამართიც არ იციან (ეს ყველას არ ეხება).

ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა, ერთ-ერთი ცოცხალი ორგანიზმია ხაშურის რეალობაში, რომელიც ნამდვილად ემსახურება მომავალი თაობის გონებრივ-ინტელექტუალურ განვითარება-ჩამოყალიბებას. პროექტები,პრეზენტაციები, კლუბები და უამრავი შესაძლებლობები, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა მსურველმა, სრულიად უფასოდ. უფრო ზუსტად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, **მაკა დიდებულიძე** ისაუბრებს:

–2009 წლამდე ხაშურში 25 ბიბლიოთეკა იყო,რეორგანიზაციის შემდეგ,რომელიც მხოლოდ შიდა ქართლს შეეხო,მხოლოდ სამი,ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა,სურამის და საბავშვო ბიბლიოთეკა დარჩა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 46 492,საბავშვო ბიბლიოთეკაში 16 308,ხოლო სურამის ბიბლიოთეკაში 25 029 წიგნია. გვაქვს 1920 წლებიდან გამოცემული ლიტერატურა.. გვაქვს ისეთი წიგნები, რომლებმაც განვითარებასთან ერთად, დაკარგა აქტუალობა. დღეს წიგნადი ფონდი მოიცავს მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერების ყველა სფეროს.

<u>–რა ტიპის მომსახურებას სთავაზობთ მკითხველს?</u>

–ძალიან შეიცვალა ბიბლიოთეკის როგორც ინფრასტრუქტურა, ისე მომსახურების ხარისხი და სერვისები. გვაქვს ელექტრონული კატალოგი, რომელიც ჩვენს მკითხვლებს აძლევს საშუალებას,სახლიდან გაუსვლელად,მოიძიონ მათთვის საინტერესო რესურსი და დაჯავშნონ კიდეც.. დღეს ბიბლიოთეკა აღარ არის ის ადგილი, სადაც მხოლოდ წიგნის წაკითხვა შეიძლებოდა, ესაა თავისუფალი, საჯარო, საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს შეუძლიათ ისარგებლონ და მიიღონ ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია. უნიკალური ფონდია ჩვენთან,რომელიც ყველასათვის საჭიროა და ვაძლევთ მისი გამოყენების შესაძლებლობას. თანამედროვე ფუნქციაც შეითვისა ბიბლიოთეკამ, მკითხველი ეცნობა პერიოდულ პრესას, სარგებლობენ სხვადასხვა სახის მასალებით. შეიცვალა ინფრასტრუქტურაც, ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, თავისუფალია ინტერნეტზე წვდომა.მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებით,ბიბლიოთეკაში დარეგისტრირება,დღეს უფასოა.

<u>–რამდენადაც ვიცი, ბიბლიოთეკაში ბევრი პროექტი მზადდება, რომელშიც სკოლის მოსწავლეები არიან ჩართულნი და ეს პროექტები მხოლოდ საქართველოს მასშტაბებს არ მოიცავს.</u>

–ბიბლიოთეკის კონცეპტუალური მიდგომების შესაბამისად, ბიბლიოთეკა წარმოადგენს საჯარო სივრცეს, განათლებისა და კულტურის კერას, მასში არსებული არასრული საგანმანათლებლო ტიპის პროგრამებით, სადაც ჩართულია მოსახლეობის ყველა ასაკობრივი კატეგორია. ჩვენ გვაქვს ძალიან რავალფეროვანი პროექტები, წლის განმავლობაში დაახლოებით 15 პროექტი ხორციელდება ეტაპობრივად. ამ ეტაპზე მოქმედებს "კითხვის კლუბი", "მეცნიერების მოყვარულთა კლუბი", "პატარა მკითხველთა" და "ზღაპრის მოყვარულთა კლუბი", "ქალთა კლუბი". ხაშურის მთავარ ბიბლიოთეკაში 11 წელია მოქმედებს ამერიკის კუთხე,ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით და ლიტვის კუთხე, შესაბამისად ლიტვის საელჩოს მხარდაჭერით. ამერიკის კუთხეში ხორციელდება მრავალი პროექტი, გვყავს მშვიდობის კორპუსის მოხალისე, რომელიც ორი წლის განმავლობაში ითანამშრომლებს ჩვენთან. ამჟამად, მიმდინარეობს უცხო ენის შემსწავლელი უფასო კურსები, სწავლობენ ინტერნეტის სწორად მოხმარებას პროექტის განსახორციელებლად, თუ როგორ მოძებნონ დონორი ორგანიზაციები. ხდება გაცვლითი პროგრამებისათვის ბავშვების მომზადება. საჯარო ლექციების გამოცდილება, კეთდება პრეზენტაციები, ახერხებენ საკუთარი თავის რეალიზებას. მოეწყო ლიდერთა ბანაკი, მშვიდობის კორპუსისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, 20 მოსწავლეს მიეცა მონაწილეობის შესაძლებლობა. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ბავშვების ჩართულობა FLEX-ის გაცვლით პროგრამაში.

<u>–ძალიან ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ წიგნმა დაკარგა მკითხველი, რომ კომპიუტერმა ჩაანაცვლა წიგნი. რამდენად ხშირად სტუმრობს ახალი თაობა ბიბლიოთეკას, თუ შეიცვალა ბოლო დროინდელი სტატისტიკა?</u>

–ეს ყველაფერი დრომ მოიტანა. გლობალიზაციას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მართალია, წიგნმა დაკარგა მკითხველი, თუმცა ბოლოდროინდელი მონაცემები შედარებით დამაიმედებელი და იმედის მომცემია. დღეს,უკვე მოხდა ფასეულობების გადაფასება. საშუალოდ,26-27 ადამიანი მაინც მოდის ბიბლიოთეკაში, რომელთა უმრავლესობაც, ჩემდა სასიხარულოდ, ახალგაზრდა თაობაა, რომლებიც ერთმანეთის რეკომენდაციით სტუმრობენ ბიბლიოთეკას და ჩვენი აქტიური მკითხველები ხდებიან. ისინი ირჩევენ წიგნებს,ან ჩვენი თანამშრომლები სთავაზობენ მათ გემოვნებაზე და ასაკზე მორგებულ ლიტერატურას.

<u>–ძირითადად, რა ჟანრის ლიტერატურაა ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარული?</u>

–ზოგადად, 2014 წელს აბონიმენტის განყოფილებას დავავალე, გაეკეთებინათ ნუსხა, თუ რომელ წიგნებზე იყო ყველაზე დიდი მოთხოვნილება, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე წაკითხვადი "ჯინსების თაობა" იყო. ამის შემდეგ, ხდება პოპულარული წიგნების დამატება, რათა მკითხველს მიეცეს შესაძლებლობა, ლოდინის გარეშე ისარგებლოს სასურველი წიგნებით.

<u>–რამდენად ხშირად ხდება ბიბლიოთეკის განახლება წიგნებით?</u>

–ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით განახლდა ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. 2015 წელს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინიციატივით, სოფლის ბიბლიოთეკებს გადაეცათ 500 ლარიანი ვაუჩერი ახალი წიგნების შესაძენად. ვთანამშრომლობთ გამომცემლობებთან და ვსარგებლობთ ფასდაკლებებით. აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში, იმართება საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვითანამშრომლოთ გამომცემლობებთან, მწერლებთან, პოეტებთან საქართველოს მასშტაბით. ასევე, ავტორები გვჩუქნიან საკუთარ წიგნებს.

პრეზიდენტის პროექტი "ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას",სამომავლო სასიკეთო პროექტების ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს. ბიბლიოთეკების ხელშეწყობის პროექტი, მომავალშიც მრავალ სიახლეს გვთავაზობს. ამ ინიციატივის ფარგლებში, იმედია, მოგვეცემა სოფლის ბიბლიოთეკების აღდგენის შესაძლებლობა,რათა სოფლის მოსახლეობას გაუჩნდეს კულტურული ცხოვრების ელემენტარული პირობა. წლის ბოლომდე კი, ვგეგმავთ ალის, მინისტარის, ხცისის სასოფლო ბიბლიოთეკების რეაბილიტაციას, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ლიტერატურითა და უფასო ინტერნეტით.

უნდა გვახსოვდეს, რომ წიგნის გარეშე, არ არსებობს განათლება, განათლებული ადამიანების გარეშე კი, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენს ქვეყანას სჭირდება წიგნიერი, განათლებული და ზნეობრივი მოქალაქეები.

თ. ჯავახიშვილი

თავისუფალი Wi-Fi ზონა ხაშურის ცენტრალურ პარკში

ამ დღეებში, საინტერესო სიახლე შემოგვთავაზა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. მისი გადაწყვეტილებითა და დაფინანსებით, ხაშურის ცენტრალურ პარკში, ყველა მსურველისათვის, უფასო ინტერნეტი გახდა ხელმისაწვდომი. ამ ეტაპზე ინტერნეტის მიწოდება მიმდინარეობს სატესტო რეჟიმში, მისი დასრულების შემდეგ კი პროვაიდერები მაღალი ხარისხის მოწოდებას გვპირდებიან.

დღეიდან ხაშურის ცენტრალურ პარკში ყველა მსურველისთვის უფასო ინტერნეტი ხელმისაწვდომია! დღეს, კომპიუტერიზაციის ეპოქაში, ინტერნეტის გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ჩვენი ყოფა. ინტერნეტი უკვე ყოველდღიური მოთხოვნილების „საგანი" გახდა და ამიტომაც ეს სიახლე მართლაც ბევრისთვის იქნება სასიხარულო.

ესტუმრეთ ხაშურის ცენტრალურ პარკს, დაისვენეთ, გაერთეთ და იმოგზაურეთ ინტერნეტის უსაზღვრო სამყაროში.

სურამულამ მეთევზეებს დაუძახა

ამ ორიოდე დღის წინ, ხაშურში, რუსთაველის ქუჩას მივუყვებოდი. ის იყო, სურამულაზე გადებული ხიდი გადავკვეთე, რომ ჩემი ყურადღება ჩემთვის მართლაც საოცარმა ფაქტმა მიიპყრო – იქვე,ხიდიდან ორიოდ მეტრში,მეთევზეს ანკესი გაეშალა და დიდი გულისყურით ჩასცქეროდა ტივტივას. თვალებს არ დავუჯერე. სურამულა და თევზი? სურამულა და მეთევზე? ვერცკი წარმოვიდგენდი, რომ ერთ დროს, ფაქტობრივად, ღია კანალიზაციად ქცეულმა მდინარემ, შეძლო გაცოცხლება და მასში თევზიც კი გამრავლდა. თუმცა,

ფაქტის წინაშე ვიყავი და როცა ამ მეთევზის დაჭერილი წვერა და ნაფოტაც ვიხილე, მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ რაღაც „სასწაული“ ხდებოდა. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ სურამულა მდიდარია კალმახით. კალმახის რაღა მოგახსენოთ, მაგრამ ასაკოვნებს კარგად ახსოვთ თევზით მდიდარი სურამულა. იმ პერიოდში, სურამულა იმდენად სუფთა და კრიალა მოედინებოდა, რომ მასში ხორბალი ირეცხებოდა. ურბანიზაციამ და, რაც მთავარია, სურამის ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობამ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, სურამულის მასიურ დაბინძურებას დაუდო სათავე. ზემოთაც ვახსენე და 90-იან წლებში სურამულა უკვე ღია კანალიზაციად იქცა და იმ დონეზე დაბინძურდა, რომ, ფაქტობრივად, ინფექციის კერა გახდა. დღესაც ვერ ვხვდები, რა ჭირდათ ასეთი იმ ავადსახსენებელ კომუნისტებს, რომ ერთი უბრალო პრობლემა – ამხელა დაბიდან ნაგვის გატანის საქმე ვერ მოაგვარეს. ამიტომაც მთელი დაბის ნაგავი სურამულაში იყრებოდა. რაღა თევზი გაჩერდებოდა იქ? საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბოლო წლების მცდელობამ უკვე გამოიღო შედეგი. ნაპირსამაგრმა სამუშაოებმა, კალაპოტის გაწმენდამ და ნაგვისგან გათავისუფლებამ (სხვათაშორის, გაწმენდითი სამუშაოები, და საკმაოდ მასშტაბურიც, წელსაც განხორციელდება) შედეგი დადო – სურამულა გაცოცხლდა და თევზმაც იბრუნა მისკენ პირი. აგერ მეთევზეებიც გამოჩნდნენ და ახლა იმაზეც შეიძლება ოცნება, რომ წლების შემდეგ, ზაფხულში, მასში მოჭყუმპალავე ბავშვებიც ვიხილოთ.

გაეცნენ ახალი პროექტის დეტალებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანასა“ და BP-ის წარმომადგენლები, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადგილობრივ მინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს შეხვდნენ, BP-ის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტის დეტალები გააცნეს და შეკითხვებს უპასუხეს.

პროექტი „თემის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის დასავლეთის მარშრუტის აღმოსავლეთ მონაკვეთზე“ მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობითა და ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესების გზით, ნავთობსადენის გასწვრივ დასახლებულ თემებსა და BP-ს შორის პარმონიული ურთიერთობის გაძლიერებას. კერძოდ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებულია ნავთობსადენის გასწვრივ არსებული სოფლებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარებას. პროექტი ითვალისწინებს ხაშურის მუნიციპალიტეტის 13 სოფლის ჩართვას. ეს სოფლებია: დიდი ფლევი, ნაცარგორა, პატარა ფლევი. დუმაცხოვი, ახალუბანი, ვაყა, ქინძათი, კლდისწყარო, ქვემო ბროლოსანი, ზემო ბროლოსანი, მცხეთიჯვარი, ტიტვინისწყარო და ჩორჩანა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრები შესაბამისი სოფლების მოსახლეობასთან უახლოეს ხანებში დაიწყება.

ეს საინტერესოა

მეცნიერებმა ოკეანის ფსკერზე უცნობი მონსტრი აღმოაჩინეს

ფლორიდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ოკეანის ფსკერზე უცნობი სახეობის თევზი აღმოაჩინეს. კვლევის შესახებ მოკლე დასკვნა უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე განთავსდა,სრულად კი სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა. როგორც დასკვნაშია ნათქვამი, მეცნიერებმა მექსიკის ყურეში უცნობი თევზის სახეობა აღმოაჩინეს,რომელიც ჩერატიოდის ოჯახს მიეკუთვნება. მათ



აგრეთვე ზღვის ეშმაკებს უწოდებენ. თევზების ეს ოჯახი გამოირჩევა იმით, რომ მათი წრმომადგენლები დიდ სიღრმეში ცხოვრობენ. ეს მტაცებელი თევზები ისე გამოიყურებიან, თითქოს ბუნებამ სპეციალურად საშინელებათა ჟანრის ფილმებისთვის შექმნა. თევზს დიდი თავი აქვს გიგანტური ყბებით, რომელიც სავსეა ეშვებით. ამასთან, მათ გააჩნიათ ერთგვარი ”ანკესი”, წანაზარდი თავზე, რომელიც ანათებს და რომლის მეშვეობითაც მტაცებელი მსხვერპლს იტყუებს. თუმცა,ადამიანებს ამ მონსტრისგან საფრთხე არ ელით. პირველ რიგში იმიტომ, რომ ის საშუალოდ, ერთი კილომეტრის სიღრმეზე ბინადრობს, სადაც მზის სხივი არ აღწევს და ამ სიღრმეზე ადამიანს ჩასასვლელად სპეციალური სასუნთქი მოწყობილობა ჭირდება. ამასთან, მისი ზომა სულ რაღაც 10 სანტიმეტრია. მეცნიერები ამბობენ, რომ თევზი ძველ კუზიან ჩექმას ჰგავს, რომელსაც ლურსმნები აქვს ამოვარდნილი. თევზი თავისი ფორმებით უნიკალურია წყლის სამყაროში.

ჩვენი განძია ჩვენი მემკვიდრეობა

წრომის ტაძარი

წრომის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლია. იგი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ტაძარი მაცხოვრის სახელობისაა. აქ ეკლესია ჯერ კიდევ V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასლის დროს აუგიათ. დღევანდელი ტაძარი კი 626-635 წლებში ერისმთავარ სტეფანოზ II-ის დაკვეთითაა აშენებული.

წრომის ტაძრით ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში მეორე ეტაპი იწყება. ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა და პირველი ეტაპის ძეგლთაგან შიდა სივრცის ახლებური გააზრებით განსხვავდება. ტაძრის გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტს და არა კედლებს, როგორც ეს ადრინდელ ძეგლებშია (მაგ. მცხეთის ჯვრის მონასტერში). აბსიდი მხოლოდ საკურთხეველს ე.ი. აღმოსავლეთის მკლავს აქვს, დანარჩენი მკლავები კი სწორკუთხაა. შიდა ინტერიერის ასეთი გააზრება ტაძარში სივრცის განსხვავებულ აღქმას ქმნის.

წრომის ტაძარი ნაგებია გათლილი თანაბარზომიერი ქვიშაქვის კვადრებით, აქ იმდენად ზედმიწევნით სუფთაა ქვის წყობა, რომ შესანიშნავი არქიტექტურული ეფექტი იქმნება, მით უფრო, რომ ტაძრის გარეთა ფასადები არ გამოირჩევა მხატვრული გაფორმებით. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი წარმოადგენს.

წრომის ტაძარში შემორჩენილი იყო მისი თანდართული კედლის მოზაიკური მხატვრობა, რომლის ფრაგმენტები დღეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია გადატანილი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.